

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

№14

ქ. მარტვილი

01 ოქტომბერი, 2018 წელი

სხდომა დაიწყო 12<sup>00</sup> სთ-ზე დამთავრდა 12<sup>00</sup> სთ-ზე

**სხდომას ესწრებოდნენ:** ალექსი გაბისონია, ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, გიორგი ხორავა, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, ონერი კუჭავა, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ირაკლი ჯამბურია, დათო ხელაია, გიზო ხარებავა, ნოე დანელია, მიხეილ ნაჭყებია.

ასევე ესწრებოდნენ საკრებულოს აპარატის თანამშრომლები, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში დარეჯან სხულუხია ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

**მოისმინეს 1:** სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით გააცნო სხდომის მონაწილეებს, რომელსაც ერთხმად დაეთანხმნენ საკრებულოს წევრები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, რომელიც დამსწრე საკრებულოს წევრებმა მიიღო ერთხმად.

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1-ლი ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1-ლი ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1-ლი ოქტომბრის №49 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

**დღის წესრიგი:**

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1-ლი ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;  
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;  
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 16 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/

/თანამომხსენებელი-დარეჯან სხულუხია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის უფროსი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში/

**მოსმინეს 2:** მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი ინიცირებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ (07.09.2018წელი, №1916), რომელიც დაურიგდათ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს, მერის მიერ წარმოდგენილ პროექტში უკვე გასწორებულია დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-4 მუხლი და კონკრეტულად განსაზღვრულია მოსაკრებლების ოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ სთხოვა დამსწრე საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** ზურაბ მეღიავამ, რამაზ ხურცილავამ, ირაკლი ჯამბურამ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ დადგენილების პროექტი საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი და კანონთან შესაბამისობაშია მოყვანილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1-ლი ოქტომბრის №25 დადგენილება სხდომის ოქმს თან ერთვის./

**მოსმინეს 3:** მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

თანამომხსენებელმა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის უფროსმა სპეციალისტმა გენდერულ საკითხებში დარეჯან სხულუხიამ აღნიშნა, რომ „მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის

დამტკიცების შესახებ“ განკარგულება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2018 წლის 16 აპრილს, შესატანი ცვლილება ითვალისწინებს განკარგულების სათაურის ახლი რედაქციით ჩამოყალიბებას და განკარგულებით დამტკიცებული დანართის ცვლილებას. მომხსენებელმა ასევე ისაუბრა 2019 წლის ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის კუთხით თანხის გათვალისწინების აუცილებლობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ სთხოვა დამსწრე საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვას:** ირინა გადელიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეთანხმება ცვლილებას და ასევე გენდერული კუთხით 2019 წლის ბიუჯეტში თანხის ასახვას.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1-ლი ოქტომბრის №50 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია